PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(ქ.მცხეთა, 2020 წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ვიზიტის მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12/06/2020 N462122 ბრძანების საფუძველზე სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „მებოსტნეობის“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 29 ივნისს;

- დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
- გაცნობითი შეხვედრა და გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან ;
- საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა)/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ჰყავს 5 საერთაშორისო პარტნიორი საფრანგეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, ტრაქტორისტ-მემანქანის, მეფუტკრეობის, სატყეო საქმის პროგრამის ფარგლებში. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩეხეთის რესპუბლიკაში, სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულების 7 პროფესიული სტუდენტი, 2 პროფესიული მასწავლებელი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

სტანდარტი I - საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1.1

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს იმ მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების საორგანიზაციო საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას-**რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

2. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება შეცვალოს მიდგომები და შეარჩიოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის ოპტიმალური გზები, დაგეგმვის აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის ამაღლებას და ხარისხის ციკლის - „დაგეგმე-განახორციელეშეაფასე-განავითარე“ - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

3. რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს: ინფორმაციას, საწარმოში განსახორციელებელი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ, საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა დაშვების პირობებს, პერიოდულობას და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პირობებს-**ვინაიდან მოდულური პროგრამების ფარგლებში სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ზოგადი ხასიათის მემორანდუმები, პროგრამის განხორციელების დროს საჭიროებების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გათვალისწინებით გაფორმდება დამატებით ხელშეკრულება, რომელშიც დარეგულირდება აღნიშნული საკითხები,ხოლო დუალური პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება ამ დეტალებს მოიცავს.

4. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური სწავლების მიდგომით განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა/დადასტურება კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებთან - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

5. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მიეთითოს მათი განხორციელების ადგილი -**რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

6. რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაცია - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

ქვესტანდარტი 1.4

1. რეკომენდებულია დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურსამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლები შესაბამისობაში იყოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებთან და დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

2. რეკომენდებულია დაწესებულებამ არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანების მოთხოვნებთან - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

3. რეკომენდებულია დაწესებულებამ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშაოს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

4. რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები მოიყვანოს შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელი აქტის მოთხოვნებთან, კერძოდ პირად საქმეებში განათავსოს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და დაამუშაოს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

ქვესტანდარტი 1.6

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმები, რომელიც სრულად შეაფასებს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ, დაწესებულება აგრძელებს დოკუმენტების სრულყოფას შესაბამისი გეგმის საფუძველზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. რეკომენდებულია ხარისხის მართვის მენეჯერმა შეიმუშაოს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია, გეგმის მიხედვით განახორციელოს ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნებისათვის შეფასება/მონიტორინგი და გასცეს რეკომენდაციები პროცესების სრულყოფისათვის - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ, დაწესებულება აგრძელებს დოკუმენტების სრულყოფას შესაბამისი გეგმის საფუძველზე;**

3. რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის მართვის მენეჯერის ან ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელსაც უხელმძღვანელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტები და კალენდარული გეგმები ნაცვლად ხარისხის მართვის მენეჯერისა, შეითანხმოს სხვა სამსახურმა/ჯგუფმა, მათ შორის შესაძლებელია აღნიშნული განახორციელოს სასწავლო პროცესის მენეჯერმა დარგის სხვა მასწავლებლების ჩართულობით. ვინაიდან, ხარისხის მართვის მენეჯერს ექნება ინტერესთა კონფლიქტი იმ პროცესის შეფასებასთან, რომელიც იქნება მასთან შეთანხმებული (შეფასების ინსტრუმენტები, კალენდარული გეგმები და სხვა) - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია;**

სტანდარტი II - მატერიალური რესურსი

ქვესტანდარტი 2.9

1. რეკომენდებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შექმნის წესში გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა, მონიტორინგის პერიოდულობა, შესრულებული აქტივობების შეფასებისა და მათი კორექტირების/ცვლილებების შეტანის პროცედურები და აღნიშნულზე პასუხისმგებელი ორგანო/პირი/პირთა ჯგუფი -**რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულება აგრძელებს დოკუმენტების სრულყოფას შესაბამისი გეგმის საფუძველზე;**

2. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული წლიური გეგმის შესრულების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების, შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე - **რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულება აგრძელებს დოკუმენტების სრულყოფას შესაბამისი გეგმის საფუძველზე;**

სტანდარტი III - ადამიანური რესურსი

ქვესტანდარტი 3.2

1. რეკომენდებულია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად წარმართვისა და თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებისათვის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების მასწავლებლებს ჰქონდეთ IT-Essential-ის სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსი -**რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დაწესებულების 6 მასწავლებელი ჩართულია IT-Essential-ის სასწავლო კურსის სწავლებაში.**

2. რეკომენდებულია ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდა - **რეკომენდაციის გათვალისწინებულია.**

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1

კომპონენტი 1.2.

კრიტერიუმი 1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: *დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.*

სტანდარტი 2

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. ***რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:*** პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე.

კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება საჭიროა გადამზადდეს მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

კრიტერიუმი 5. ***რეკომენდაცია გაუმჯობესებისათვის:*** *2018 წელს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადდა ბაინდერული ტიპის სახელმძღვანელო. რომელიც არის ახალი და მორგებულია 2018 წელს დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ მოდულებს და სწავლის შედეგებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში ეს რესურსი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოთხოვება ამიბეჭდილი სახით. თუმცა ადაპტირებულ მოდულებში არ არის ჩანაწერი და არც პედაგოგები არიან საქმის კურსში ამ რესურსის არსებობის შესახებ. სასურველია სწავლების პროცესში ამ მასალის გამოყენება.

კომპონენტი 2.3.1.

კრიტერიუმი 1.რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: *საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც. შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, და ა.შ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს, პროგრამების განვითარების კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია გადაიხედოს და გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და გადამუშავდეს შემუშავდეს ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.*

კომპონენტი 2.4.2.

კრიტერიუმი 3. **რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:** *დაწესებულებამ გაწეროს შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მებოსტნეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის N 04-77 ბრძანება (29.05.2020)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიანთკარი - მოდულური სწავლება - 30 სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის მისიაა კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სფეროზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს აგრარული პროფილის პროფესიების განხორციელება, რაც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კოლეჯმა დაიწყო მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ–ერთი დარგის განხორციელება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის პროფილთან, მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის 2016-21 წწ გაწერილი(6 წლიანი), ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ დაწყებულია მუშაობა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტზე, ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით აუცილებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით, დოკუმენტის თანახმად დაგეგმილია შემუშავდეს და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი), განთავსდეს კოლეჯის ვებ გვერდზე. კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია განახლებული სახით, აქტივობაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, აქტივობის დასრულების ვადაა 2020 წლის 25 ივლისი.

მებოსტნეობის პროფესიული პროგრამის დამატების ფარგლებში, 2019 წლის პერიოდში, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ, განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი, სხვადასხვა კვლევებსა და ანგარიშების მოკვლევაზე დაყრდნობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2019 წელს ჩატარდა შრომის ბაზრის ანალიზი. აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლასაც, რომლის თანახმადაც, 2018, წელს დასაქმების ერთ-ერთ აქტუალურ საიტზე, HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობამ 65 ათასზე მეტი შეადგინა. გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა სამუშაოს მაძიებლისგან საშუალო და პროფესიულ განათლებას ითხოვს. ეს ადასტურებს, იმ ფაქტს, რომ საჭიროა პროფესიული განათლების უფრო მეტად პოპულარიზაცია და ახალი პროფესიების დამატება პროფესიულ სასწავლებლებში. აქ ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ 2018 წელს ყველაზე ნაკლები ვაკანსია (0.2%) სწორედ სოფლის მეურნეობის მიმართულებით გამოქვეყნდა. სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სექტორებთან შედარებით სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე დაბალია პროდუქტიულობის მაჩვენებელი. შესაბამისად, სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში, 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში დაგეგმილ აქტივობათა განხორციელება, სოფლად ეკონომიკური აქტიურობის ზრდის წინაპირობა უნდა გახდეს. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მას რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი და წამყვანი ადგილი უჭირავს. მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს სოფლის მრავალი მიმართულების განვითარებას, რაც სამომავლოდ შესაძლებლობას მისცემს რეგიონს გაზარდოს წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის შიდა ბაზარზე. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ეს სექტორი თვითდასაქმების და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის საუკეთესო საშუალებაა.

მებოსტნეობა-მებაღჩეობისთვის მეტ-ნაკლები პირობები არსებობს მთელი რეგიონის მასშტაბით, მაგრამ შედარებით ინტენსიურად დატვირთულია მცხეთის მუნიციპალიტეტი. ეს განპირობებულია სარეალიზაციო ბაზართან (თბილისი) სიახლოვით და კომუნიკაციის სიიოლით. ძირითადად იწარმოება პამიდორი, კომბოსტო, ხახვი და სხვა. ვინაიდან ეს მიმართულება ძირითადად წვრილ მეურნეობებშია განვითარებული, ვერ იქმნება იმ მოცულობის პროდუქცია, რომ კონკურენცია გაუწიოს ქვემო ქართლის და ლაგოდეხის შედარებით განვითარებულ წარმოებას. ერთჯერადად წარმოებული პროდუქციის სიმცირე არარენტაბელურს ხდის მის შენახვას ნატახტარის მაცივარში. (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2016-2021 წლებისთვის), აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის მონაცემების მიხედვით, მებოსტნეობას ნათესი ფართობის მიხედვით მე-2 ადგილი უკავია, რომლის გარკვეულ ნაწილს მცხეთა-მთიანეთი წარმოადგენს. მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული მუხრანის ველი საშუალებას იძლევა უხვმოსავლიანი ბოსტნეულის წარმოებისათვის. თიანეთის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში, რელიეფურ-ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია მებოსტნეობის კულტურების წარმოება. (მცხეთა - მთიანეთის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგია) ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი ბოსტნეული მაღალი გემური თვისებებით ხასიათდება და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, რის გამოც მოსახლეობის მოთხოვნილება ქართულ პროდუქციაზე იზრდება, რაც გახდა ჩვენი კოლეჯის მხრიდან მებოსტნეობის პროგრამის დამატების მიზეზი. მებოსტნეობის დარგის კულტურათა ასორტიმენტის გაფართოება ხელს შეუწყობს კერძების სიუხვეს და მათი გემური თვისებების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, დააკმაყოფილებს ქვეყანაში ტურისტებისა და აქ მოღვაწე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მოთხოვნილებას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაც (2016-2021 წლებისთვის) გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელიც რეგიონის ეკონომიკაში ყურადსაღებ ადგილს იკავებს. მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა მებოსტნეობის დარგის განვითარების უდიდეს შესაძლებლობებს იძლება. სტრატეგიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თანახმად, რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტშია განვითარებული მებოსტნეობა. ამ დარგის კულტურების წარმოება გატანა შიდა და გარე ბაზარზე სამომავლოდ მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს ადგილობრივ ფერმერებს. (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2016-2021წწ). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფაქტია, რომ როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკის განვითარებაში. თუმცა, კვლევები ცხადყოფს, რომ პროდუქტიულობა ამ მიმართულებით, არც თუ ისე სახარბიელოა. კვალიფიციური ცოდნისა და პროფესიონალების სიმცირის გამო ნაკლებია ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობაც. ჩატარებულმა მოკვლევამ აჩვენა, რომ საჭიროა პროდუქტიულობის გაზრდა სოფლის მეურნეობის სექტორში, მათ შორის მებოსტნეობის სფეროში. კვლევები, ასევე, ცხადჰყოფს, რომ მებოსტნეობის განსავითარებლად, მცხეთა-მთიანეთში იდეალური პირობებია შექმნილი. თუმცა, საჭიროა მიმართულების განვითარება, რისთვისაც დარგის პროფესიული ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადება ძლიერ მნიშვნელოვანია და კოლეჯის მიერ, ამ მიმართულებით სპეციალისტების მომზადება ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საშური საქმის შესწავლისა და მიზნის მიღწევაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა დაიმატოს მებოსტნეობის პროფესიული პროგრამა წინამძღვრიანთკარის ძირითად სასწავლო ფართში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ‘‘ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“,პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ ხარისხის მართვის მენეჯერს პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარუდგენს ინიციატივას პროგრამის დამატების თაობაზე. პროგრამების შემუშავება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას, პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განვითარებაზე. ასევე ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

2. მებოსტნეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N 04-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'' დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

ე) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

ვ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

ზ). სწავლების ფორმა, პროგრამის განხორციელების მიდგომები.

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს; მოდულის განხორციელებისათვის, (მაგ.,,ინფორმაციული წიგნიერება“), საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს; შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე გასანაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის; მებოსტნეობის პროგრამისათვის დაწესებულებამ ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე განსაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

4. კოლეჯს აქვს მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მრავალფეროვანი თანამედროვე ლიტერატურა მებოსტნეობის მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;

6. მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დაწესებულების კოლეჯის დირექტორის კოლეჯის დირექტორის N 04-77 ბრძანება (29.05.2020) . უფლებამოსილება დასტურდება დაწესებულების წესდებით და ‘’ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურით;(მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის“.პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზეც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „მებოსტნეობა“ – სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს მებოსტნის ფუნქცია–მოვალეობებსა და კომპეტენციებს, როგორიცაა: ბოსტნის მოწყობა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების დაცვა; ბოსტნეული,ბაღჩეული კულტ. აღება-შენახვა;

8.მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია „სოფლის მეურნეობის“ ჩარჩო დოკუმენტი სარეგისტრაციო ნომრით 09114-პ, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა(იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 60 კრედიტი, იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია მოცულობა: 75 კრედიტი), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა,ინფორმაცია ადამიანური, მატერიალური რესურსების შესახებ და პროგრამის ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიით;
- კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით 2020 წ.
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით(2016-21წწ);
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ‘’ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურით;(მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“-დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019) ;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მებოსტნეობის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაციის წესით“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მებოსტნეობის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით,გადამოწმდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია და ასევე განხორციელდა ვიზუალურად მათი დათვალიერება ადგილზე,კოლეჯს აქვს 0,1 ჰა ნაკვეთი ღია გრუნტი. ივენტარის და ტექნიკის 90 % კოლეჯს შესყიდული აქვს, ნაწილი (ძირითადად მძიმე სასოფლო სამეურნეო ტექნიკა) კოლეჯი გამოიყენებს პარტნიორი ორგანიზაციიდან. მცირე ნაწილი არის შესყიდვის პროცესში,დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ხელშეკრულების საგანი, რესურსების დასახელება, ტექნიკური აღწერილობა, რაოდენობა, ფასები და ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადები, ხელშეკრულებების ანალიზით დგინდება, რომ ნაწილი ხელშეკრულების საგნის მიწოდება უკვე უნდა განხორციელებულიყო, ჩაბარდეს 2020 წლის 25 ივლისს, შესყიდვების სამსახურმა ინტერვიურებისას დააფიქსირა, რომ პანდემიამ ხელი შეუშალა აღნიშნული პროცესის დროულად დასრულებას, სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით რეკომენდირებულია პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით, გეგმის თანახმად პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დაწესებულებაში მობილიზება განხორციელდება 2020 წლის 01 სექტემბრამდე, აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირია შესყიდვების სპეციალისტი, ლოჯისტკის სამსახური და ბუღალტერი.

2. სსიპ ილია წინამძრვრიშვილის სახელობის კოლეჯს გაწერილი აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით # 04-97 2020 წელი). რომლის მიხედვითაც პროფესიული კოლეჯის დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავოისუფლებს მასწავლებლებს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს. დასაქმების მსურველთა შერჩევისას კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესააძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესი. მიმდინარე წლის ივლისში კოლეჯს მიღებული ჰყავს ახალი პედაგოგები საკონკურსო განაცხადი განთავსებული იყო https://www.hr.gov.ge/, კოლეჯის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით (საკონკურსო კომისიის ოქმი # 011- # 012, 8 და 13 მაისი 2020 წელი). გასაუბრეის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც 2020 წლის 8 ივნისს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი ჰყავს 11 ზოგადი მოდულის პედაგოგი , პროფესიული სავალდებულო მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს წარმოდგენილი ჰყავს 4 პედაგოგი. კოლეჯს გაფორმებული აქვს შრომის ხელშეკრულებები პედაგოგებთან. საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით. ხელშეკრულებებში გაწერილია ყველა საჭირო მუხლი. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პიროვნება ავტომატურად ეცნობა კოლეჯის შინაგანაწესს და ეთანხმება მას. მასწავლებელთა დატვირთვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმის განხორციელების მდგრადობას. გარდა ამისა, თითოეულ პროფესიულ მოდულში განსაზღვრულია მინიმუმ ორი პროფესიული მასწავლებელი;

3.სსიპ ილია წინმძღვიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიულ მასწვლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. აქედან გამომდინრე, მებოსტნეობის პროგრმაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან განხორციელდა ინტერვიუ: ნაწილ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს მოდულების განხორციელების და შეფასების გამოცდილება, თუმცა დაწესებულებას დაკონტრაქტებული ჰყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ ხედვა, თუ როგორ განახორციელებენ სწავლებას და შეფასებას, იკვეთება, რომ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის განვითარების კუთხით საჭიროებენ გადამზადებას მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით, დოკუმენტის თანახმად დაგეგმილია პერსონალის გაძლიერებაზე ზრუნვა, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, აქტივობის დასრულების თარიღია 2020 წლის 01 ოქტომბერი.

4.მებოსტნეობის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე, ასევე ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

5.მებოსტნეობის პროფესიულ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი 15 ადგილიანი, დგას 15 კომპიუტერი, მაგიდა და სკამი, უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

ბიბლიოთეკაში მოიპოვება ყველა სახელმძღვანელო რაც მოდულებში (გამოყენებული ლიტერატურის) ველშია მითითებული. სახელმძღვანელოს ნაწილი მატერიალური სახითაა წარმოდგენილი, ნაწილი ელექტრონული ვერსიებია. ელექტრონული ვერსიები შენახულია მყარი მახსოვრობის დისკზე, რომელსაც თან ერთვის ელექტრონული რესურსების რეგისტრაციის ჟურნალი. კოლეჯს აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და რეგისტრირებულია ჟურნალში. ბიბლიოთეკაში წესების დაცვით ხდება სასწავლო რესურსების მოძრაობა (წიგნების გატანა-შემოტანა).

რეკომენდაცია შემდგომი გაუმჯობესებისათვის: 2018 წელს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადდა ბაინდერული ტიპის სახელმძღვანელო. რომელიც არის ახალი და მორგებულია 2018 წელს დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ მოდულებს და სწავლის შედეგებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში ეს რესურსი მოიპოვება ამიბეჭდილი სახით. თუმცა ადაპტირებულ მოდულებში არ არის ჩანაწერი და არც პედაგოგები არიან საქმის კურსში ამ რესურსის არსებობის შესახებ. სასურველია სწავლების პროცესში ამ მასალის გამოყენება.

6. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. შშმ და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით. შშმ და სსსმ სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, შესაბამისად, სსსმ სტუდენტებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან.

7.სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია მებოსტნეობის პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრირების ხარჯს,პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯებს(კომუნალური და ა.შ). პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეესაბამება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მებოსტნეობის პროგრამსათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის დანართით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის განმახორციელებლების დანართით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით;
- ,,სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- ,,სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019);
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით;
- ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება. ამასთან შექმნას პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგებს გაეცნობიან დაინტერესებული მხარეები. კვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება პროგრამების გადახედვა და მოდიფიცირება, სასწავლო/სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, მოდულების ინიცირება.

ზემოაღნიშნულისთვის კოლეჯში შემუშავებულია კითხვარები:

•კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

•კურსების შეფასების კითხვარი სტუდენტებისთვის;

•კურსის შეფასების კითხვარი მასწავლებლისთვის;

•შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დასწრების კითხვარი;

•დამსაქმებლების კითხვარი.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება; სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. ხარისხის მონიტორინგისათვის უზრუნველყოფილია მასწავლებლების გამოკითხვა, მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. კოლეჯის შიდა რეგულაციები უზრუნველჰყოფს ვერიფიკაციის პროცესის განხირციელებას. ასევე, შექმნილია შიდა მხრდაჭერისა და ვერიფიკციის ჯგუფები, გაწერილია მათი სამუშაო პროცესი, დასკვნის მომზადებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პრონციპები. გარდა ამისა, თითოეული პროგრამის ხელმძღვნელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას და ზრუნავს მის გაუმჯობესებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც. შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს, პროგრამების განვითარების კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია გადაიხედოს და გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და გამოკითხვის ფორმები.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით, დოკუმენტის თანახმად დაგეგმილია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა და ვერიფიკაციის შემუშავებული მექანიზმის დანერგვვა კოლეჯში, დაგეგმილია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, კვლევის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით: დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა, სსსმ პირთა გამოკითხვა კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე; საბიბლიოთეკო რესურსის ადეკვატურობის გამოკითხვა, პრაქტიკის ობიექტებში შრომის უსაფრთხოების მექანიზმის გაძლიერებაზე ზრუნვა, აღნიშნულ პროცესებზე პასუხისმგებელი პირებია ხარისხის მართვის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი, აღნიშნული აქტივობის განხორციელების ვადაა 5 თვე.

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების წესი, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოგენილი წერილობითი სახით, მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე, ასევე ჩართული უნდა იყოს ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სასწავლო პროცესის შეფასების სისტემით დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-40 ცვლილება: N04-24 06.03.2019 ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისის დირექტორის N04-91 ბრძანებით,
- ,,ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაციის წესით‘‘;
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევებით;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ‘’ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურით(მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის);
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

\| მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა კოლეჯში არსებული რეგულაციებისა და სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო გეგმა აგებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობების დაცვით და კვირეული დატვირთვა არ არის 40 სთ-ზე მაღალი. თემატურ–კალენდარული გეგმა წარმოადგენს კონკრეტული მოდულის განხორციელების წინასწარ დაგეგმვას დროში. ეს არის მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. თემატურ - კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, თემატურ - კალენდარული გეგმა უნდა შემუშავდეს თითოეული ჯგუფისთვის ინდივიდუალურად.მოდულის დაწყებამდე, 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიულ მასწავლებელს წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად აწვდის ინფორმაციას, მოდულის დაწყების თარიღის, მოდულის ხანგძლივობის და ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვის შესახებ. პროფესიული მასწავლებელი თითოეული მოდულის დაწყებამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე, შემუშავებულ თემატურ - კალენდარულ გეგმას შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომლის ხელმოწერით დასტურდება თემატურ - კალენდარული გეგმის შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. კოლეჯის დამატებით სასწავლო ფართებში თემატურ კალენდარული გეგმის შეთანხმება დასაშვებია სასწავლო პროცესის მენეჯერის მატერიალური ხელმოწერის გარეშეც, ელექტრონულად ფოსტის ან/და სხვა საშუალებით.

2.სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში სასწავლო პროცესი რეგულირდება კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით'', რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებას. აღნიშნული წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტების უფლებასაც განმეორებით გამოცდაზე გასვლისა თაობაზე. ასევე, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს გაუჩნდება პროფესიის შეცვლის სურვილი, აღნიშნული წესი განსაზღვრავს ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, გარდა ამისა, კოლეჯში შემუშავებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელიც უზრუნველჰყოფს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას, მათი ინტერესების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3.პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდული ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია; სასწავლო მასალების დემონსტრირება; ჯგუფური მუშაობა; დისკუსია; ვიდეოს ჩვენება; სასწავლო ექსკურსია; პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა და სხვ.

4.მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის განკუთვნილია საათების შესაბამისი რაოდენობა, რომელიც შემუშავებულია დარგისა და განათლების ექსპერტების მიერ, შესაბამისად, თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის საჭიროებები. გარდა ამისა, წინამძღვრიშვილის კოლეჯში შეუშვებულია ინდივიდუალური სასწვლო გეგმების შემუშავების წესი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველჰყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

5. მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს მემორანდუმები აქვს გაფორმებული 2 პარტნიორ საწარმოსთან: რ/კ „დვალეთი“ და [redacted] თუმცა, აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მებოსტნეობის პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით და მიიღწევა მთლიანად კოლეჯში (სწავლის შედეგების 100%). შესაბამისად, კოლეჯს მემორანდუმები გაფორმებული აქვს მხოლოდ პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად და აღნიშნულ პარტნიორებს გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. ამის გათვალისწინებით, მემორანდუმები ზოგადი ხასიათისაა და პროგრამის განხორციელების დროს გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდება დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმება, მემორანდუმს თან ახლავს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით. ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთანგასაუბრება, რომელმაც დაადასტურა მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულების მზაობა და მატერიალური რესურსების ფლობა.

6.სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველჰყოფს: სახანძრო უსაფრთხოებას; სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას; კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში); უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმების არსებობას; საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას. გარდა ამისა, კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება; კოლეჯი აღჭურვილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), რომლის გამოყენების ინსტრუქცია ახსნილია კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის; ასევე, კოლეჯის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/ები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში კორიდორები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი. აღნიშნულს არეგულირებს რომელსაც არეგულირებს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები. ასევე, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო. გარდა ამისა, დაწესებულებამ უზრუნველყო საკუთარი თანამშრომლის გადამზადება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. ზემოაღნიშნულის, ასევე, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმით;
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით;
- სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- ,,სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი'' დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით;
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესებით;
- სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიმართულებით გადამზადებული თანამშრომლის გადამზადების დამადასტურებელი სერთიფიკატით.
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება კოლეჯის მიერ შემუშავებული თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ხოლო ვერიფიკატორი არის ხარისხის მართვის მენეჯერი. თითოეული ზემოაღნიშნული კომპონენტის დეტალურობა უზრუნვლყოფს შეფასების გამჭვირვალობას და ობიექტურობას.შეფასების ინსტრუმენტები წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების მიცემის საშუალებას, რომლითაც დასტურდება მიაღწია თუ არა პროფეისულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს. შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე იქმნება სასწავლო უწყისები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მსჯელობა პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე.

2.სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება კოლეჯის მიერ შემუშავებული თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი რეგულირდება კოლეჯის რეგულაციით „ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და ვერიფიკაცია“, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურები.

ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას.შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- პროცესის ვერიფიკაცია
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია

ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას- ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.

შეფასება ვალიდურია, როდესაც:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).
- პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
- საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

სანდოობას - სანდოა შეფასება თუ:

- შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას

- ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

- მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.
- სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.
- შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

პროფესიულ სტუდენტებს პროფესიულმა მასწავლებელმა წერილობით, ელექტრონულად უნდა აცნობოს ინფორმაცია გონივრულ ვადაში შეფასების დღის თარიღისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის მიზანია გამოცდების ჩატარების ეფექტურობის გაზრდა. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობდეს ვერიფიკაციის პროცესს. იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას.ვერიფიკაციის პროცესის განსახორციელებლად ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ:

- პროგრამის ხელმძღვანელი-დარგის ექსპერტი
- პროფ. მასწავლებელი
- მოწვეული პირი
- მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი
- პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან
- ან სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში

ვერიფიკაციის ჯგუფი იქმნება კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს ის პირი, რომელმაც შესაფასებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორებად შესაძლოა განისაზღვროს:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- შესაფასებელი პირების დაბალი შეფასებები
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შევსებული კითხვარები;
- სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარები;
- პროფესიული მასწავლებლებისგან მიღებული წერილობითი უკუკავშირები
- ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ რისკ ფაქტორად მიჩნეული სხვა საკითხი.

ვერიფიკაციის ჯგუფმა ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება უნდა დაიწყოს თავისი გადაწყვეტილებისამებრ, შესაძლოა შეარჩიოს ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების დაბალი ან საშუალო რისკების ჯგუფები შესაფასებლად, რომლისთვისაც უნდა გამოიყენოს სქემა: გარემოება-რისკ ფაქტორი, რას იწყვევს გარემოება-შესაძლო რისკი და კოეფიციენტი, ვერიფიკაციის ჯგუფის მოსაზრებები გარემოებები დაყოფილია შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებად, მათ მიენიჭებათ ქულები:

- დაბალი 1 ქულა,
- საშუალო 2 ქულა,
- მაღალი 3 ქულა,
- კრიტიკული 4 ქულა.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შერჩეული რისკ ფაქტორის შეფასებისათვის გამოიყენება ვერიფიკაციის შემდეგი ინსტრუმენტები: შემოწმებისათვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა ჯგუფში არსებული სტუდენტების 50%. იმ შემთხვევაში თუ პრობლემატური აღმოჩნდება შესაფასებელი ინსტრუმენტები და გამიკვეთება დარღვევები, შესაძლია საჭირო გახდეს მთელი ჯგუფის ინსტრუმენტების შეამოწმება, რასც თვითონ წყვეტს ვერიფიკაციის ჯგუფი ხმათა უმრავლესობით.

ვერიფიკაციის განხორციელების დროს ვერიფიკაციის ჯგუფი ავსებს წინამდებარე მარეგულირებელი დოკუმენტის დანართ 1-ად დართულ ვერიფიკაციის დასკვნის დოკუმენტს. ვერიფიკაციის დასკვა უნდა იყოს სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური, ვერიფიკაციის დასკვნაში იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის დასკვნის დოკუმენტის შემუშავების შემდეგ უნდა მოხდეს დასკვნის განხილვა. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხარეებმა უნდა შეიმუშავონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, შექმნან სამოქმედო გეგმა. თუ საჭიროა უნდა წარადგინონ ინიცირება რეგულაციებშიც ცვლილებების შეტანის შესახებ.ვერიფიკაციის დასკვნისა და დასკვნის განხილვის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს ასახული ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში წარმოდგენილი პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს:

- აქტივობების განხორციელების ვადები,
- შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

უკუკავშირისათვის ვერიფიკაციის დასკვნა და სამოქმედო გეგმა უნდა გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს.

ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში მონაწილეობს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომლობს შეფასების ინსტრუმენტის შექმნის პროცესში პროფესიულ მასწავლებელთან.პროფესული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს წერილობითი ფორმით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი 1 დღის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით.

3.სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შემუშავებულია თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი, წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. ხოლო უწყისი ინახება უვადოდ. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული, როგორ მოახდენს შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას.

სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ გაწეროს შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.

4. კოლეჯში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისათვის. დადგენილი წესის თანახმად სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ გაიარონ განმეორებითი გამოცდა და გაასაჩივრონ მიღებული შედეგი. თუ შესაფასებელი პირი არ გამოცხადდა შეფასების პროცესზე ან ვერ დაადასტურა სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედეგი, მას სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებითი დადასტურება შეუძლია ორჯერ, პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სწავლის შედეგის/კრიტერიუმის შესაბამისი მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა. როდესაც სწავლის შედეგის/კრიტერიუმის შესაბამისი მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებითი დადასტურება შეუძლია ორჯერ, შესაბამისი მოდულის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებითი დადასტურებისათვის, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაწეროს განცხადება სწავლის შედეგის/კრიტერიუმის განმეორებით დადასტურების შესახებ კოლეჯის დირექტორის სახელზე. თუ შესაფასებელმა პირმა ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი:

ა) განმეორებითი შეფასება თუ ტარდება ტესტირების სახით, კითხებში რეკომენდებულია შევიდეს ცვლილება. (მაგ: შეიცვალოს კითხვის ფორმულირება ან პასუხების ნუმერაცია), ხოლო, ღია კითხვები შესაძლებელია დარჩეს უცვლელი სახით.

ბ) პრაქტიკული დავალების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას შეფასების იგივე ინსტრუმენტი.

თუ შესაფასებელი პირი არ გამოცხადდა შეფასების პროცესზე, განმეორებითი შეფასების დროს შესაძლებელია გამოყენებული იქნას იგივე შეფასების იგივე ინსტრუმენტი. განმეორებითი შეფასებისთვის სახარჯ მასალას უზრუნველყოფს დაწესებულება, განმეორებითი შეფასების ვადებში სპეციფიკური მოდულებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სეზონურობა და სხვა არსებული სპეციფიკა, იმისათვის რომ შესაბამის გარემოში მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული სწავლის შედეგი. მან პსდ-ს ხელმძღვანელი პირის სახელზე უნდა წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია გასაჩივრების განაცხადის სახით. თუ სწავლის შედეგის/კრიტერიუმის შესაბამისი მოდული არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შედეგი მისი გაცნობიდან 2 დღის ვადაში. როდესაც სწავლის შედეგის/კრიტერიუმის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, შესაფასებელ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შედეგი მისი გაცნობიდან 1 კვირის ვადაში. გაასაჩივრების განაცხადის დაკმაყოფილების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს შეფასების პროცესი ამავე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაციის წესით“;
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
15.07.2020 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: